პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 218 (4212)

1970 წ. 5 ნოემბერი, ხუთშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




## „სინათლის“ ბაზებზე

სპორტკლუბ „სინათლის“ სპორტულ ბაზებზე გრძელდება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შიდა საკოლექტივო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშიც 11 სახეობა შედის. ფალდრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობასა და ტყვიის სროლაში შეჯიბრებები უკვე დამთავრდა. გუნდურ ჩათვლაში ელექტრომეურნეობის ფიზკულტურელები ლიდერობენ.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — სპარტაკიადის საზეიმო გახსნა; ქვევით — კალათბურთში შეჯიბრების მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.





## ბრძოლა თასისთვის

დიდოსტატი დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), თუ შეიძლება ასე ითქვას, შემპარავი სტილის მოჭადრაკეა. იგი თავიდან როდი ამჟღავნებს თავის განზრახვას: ჯერ სწავლობს მეტოქეს, მის სურვილებს აკვირდება და ბოლოს... შეიძლება ამჯერადაც ამ პოლიტიკას ადგას ბრონშტეინი საერთაშორისო ოსტატ ვ. სავონთან (ხარკოვი) სსრ კავშირის თასისთვის ნახევარფინალურ მატჩში, რომელიც ორიოდე დღის წინ მოსკოვში დაიწყო.

პირველ პარტიაში არც ერთი მეტოქე გართულებას თავს არ არიდებდა, მაგრამ ორივე ფხიზლად იყო. მოსკოველ დიდოსტატს ალბათ ახსოვს, რომ სავონმა თვით ტალი გასტეხა გადამწყვეტ პარტიაში. ამიტომ იგი მეტოქის ყოველ სვლას მეტი დაკვირვებით აანალიზებდა. შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

თითქმის ასეთივე გზით წარიმართა მატჩის მეორე პარტია და ისიც ყაიმით დასრულდა.

მწვავე, შედეგიანი ბრძოლის სახე მიიღო მეორე ნახევარფინალურმა მატჩმა. რიგელი ა. შმიტი და ოდესელი ლ. ალბურტი ახალგაზრდები არიან და უშეღავათოდაც თამაშობენ. მართალია, ალბურტს სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში უთამაშია, თითქოს მეტი გამოცდილებაც აქვს, მაგრამ შმიტი უკვე კარგა ხანია ლატვიის მოწინავე ოსტატია. მან შესანიშნავად იცის სადებიუტო თეორია.

პირველ პარტიაში შმიტმა მოხდენილად დალაშქრა ოდესელი ოსტატის პოზიცია და გაიმარჯვა. მან მეორე დღესაც მიიტანა იერიში ალბურტის მეფეზე და დაამარცხა. 2:0 — საკმაოდ შთამბეჭდავი ანგარიშია.

მეტოქეებს მხოლოდ ორ-ორი პარტია დარჩათ სათამაშო. თუ შმიტ-ალბურტის მატჩში მდგომარეობა ნათელია, ბრონშტეინ—სავონის ორთაბრძოლაში ყველაფერი წინაა.

ბ. ტუროვი.

მოსკოვი.

ჭადრაკი

## ახალი ამბები

● ტირასპოლი, 3 ნოემბერი. აქ დამთავრებულმა მოშაშე ქალთა XIV საკავშირო ჩემპიონატმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული. I-II ადგილები გაიყვეს მოსკოვის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტმა ე. მიხაილოვსკაიამ და ი. აუგუსტინაიტემ (რიგა). მათ დააგროვეს 11-11 ქულა. სსრ კავშირის წლევანდელ ჩემპიონს გამოავლენს ამ ორ სპორტსმენს შორის დანიშნული დამატებითი მატჩი.

● ვორონეჟი, 8 ნოემბერი. წინასადღესასწაულო სააგიტაციო გადარბენა განახორციელა აქაურ მძლეოსანთა ჯგუფმა. მან ოლქის რაიონების გავლით დაფარა 650 კმ. ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ რსფსრ-ს დამსახურებული მწვრთნელი მ. ლავროვი და მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილე ნ. სვირიდოვი.

დღეს გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო... $19^{45}$

◆ პრაღა, 4 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიის მაგიდის ჩოგბურთელებმა აქ ევროპული ლიგის პირველობის მატჩი მოუგეს ინგლისის ნაკრებს — 5:2.

◆ ბრატისლავა, 4 ნოემბერი. სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა გუნდმა ამხანაგურ მატჩში სძლია ჩეხოსლოვაკიის ეროვნულ გუნდს — 13:10. საბჭოთა გუნდიდან საუკეთესო იყო მეკარე გ. კამინსკოვა (ბაქოს „სპარტაკი“).

◆ მოსკოვი, 4 ნოემბერი. ლენინგრადის ოლქის „ბურევესტნიკის“ ალპინისტებს მიეკუთვნათ სსრ კავშირის ჩემპიონობა. ოქროს მედლები მათ მოიხვეჭეს პამირში, კარლ მარქსის პიკის (6.726 მ) დალაშქვრისთვის.

◆ მარიბორი, 4 ნოემბერი. იუგოსლავიაში ტურნეს ატარებს იაპონიის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები. სტუმრების გამარჯვებით დამთავრდა როგორც ვაჟთა (5:2), ისე ქალთა (3:0) გუნდების შეხვედრები.



## 11 სხვადასხვა სახის მედლის მფლობელნი

როგორც ვიუწყებოდით, სამბისტთა ამასწინანდელ საკავშირო პირად ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზეს საქართველოს ათლეტებმა, რომლებმაც 11 სხვადასხვა ხარისხის მედალი დაისაკუთრეს. აქ აღბეჭდილია ჩემპიონატის 9 პრიზიორი (ორი მათგანის — გორელების რ. ქაიხოსროშვილისა და გ. თანდელოვის გადაღება ვერ მოხერხდა).

ს უ რ ა თ ზ ე: სხედან (მარცხნიდან) — თბილისელი გ. ყაყიჩაშვილი (უმძიმესი წონა, II ადგილი), გორელი ჯ. ხორბალაძე (ქვემსუბუქი, III ადგილი), თბილისელი შ. ფიცხელაური (მძიმე, I ადგილი); დგანან — თბილისელები ა. მალაციძე (მძიმე, III ადგილი), ჯ. ზაზუნაშვილი (მძიმე, III ადგილი), საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსი ბ. მაზიაშვილი, თბილისელი ა. მუზაევი (პირველი საშუალო, III ადგილი), გორელი ნ. ექვთიმიშვილი (ქვემძიმე, II ადგილი), თბილისელები ფ. მარტყოფლიშვილი (ქვემსუბუქი, I ადგილი) და გ. ონაშვილი (მძიმე, I ადგილი).

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

## სპარტაკიადებისთვის მზადება

## პირველი...

საქართველოს სპორტსმენ ქალებს ბირთვის კვრაში მაღალი შედეგები არასოდეს ჰქონიათ. რამდენიმე პირველთანრიგოსანი და რესპუბლიკური რეკორდის ასევე რამდენიმე სანტიმეტრით გაუმჯობესება საოცნებო იყო. სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი აქამდე ერთ ბირთვის მკვრელსაც არ შეუსრულებია. გუშინწინ პირველი სასიხარულო ამბავი შევიტყვეთ.

ამას წინათ ვწერდით, რომ დინამოელმა ლამარა ტუღუშმა თბილისის საკლუბო გუნდების ტურნირში ბირთვის კვრაში საქართველოს ახალი რეკორდი (14,62 მ) დაამყარა. ახლა დავსძენთ, რომ ტუღუშმა ამჯერად თავი გამოიჩინა რესპუბლიკურ ჩემპიონატში, რომელიც გუშინწინ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე დაიწყო. ფინალური შეჯიბრების პირველივე ცდაზე ტუღუშმა ბირთვი 14,90 მეტრზე გაგზავნა. ეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივზე ბევრად უკეთესი შედეგია.

როგორც რეკორდის დამყარების შემდეგ სპორტსმენის მწვრთნელმა მ. ტუღუშმა გაგვანდო, წვრთნა ისეა დაგეგმილი, რომ ლამარამ ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში საუკეთესო შედეგებს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის მიაღწიოს: ბირთვის კვრაში რეკორდი 15,50 მეტრამდე აიყვანოს, ბადროს ტყორცნაში კი 56-57 მეტრი აჩვენოს.

ჩემპიონატის პირველ დღეს სხვა განსაკუთრებით საყურადღებო არაფერი მომხდარა. პროგრამის 12 სახეობაში მოასპარეზეთაგან ოსტატობის კანდიდატის შედეგი კიდევ ორმა გამარჯვებულმა აჩვენა: სიმაღლეზე ხტომაში ქალთა შორის საუკეთესომ ლ. გუკმა („ბურევესტნიკი") 165 სმ დაძლია, ქ. გორძამაშვილმა („დინამო") კი შუბი 74,40 მეტრზე ტყორცნა.

უროს ტყორცნაში პირველობა „კოლმეურნის" გუნდის წევრმა ი. ბარსლიევამ მოიგო. საქართველოს რეკორდსმენმა ი. ფხაკაძემ („დინამო"), ამას წინათ ფეხი იტკინა, მაგრამ მაინც გამოვიდა სარბიელზე გუნდის ინტერესების დასაცავად. მან ერთი ცდა შეასრულა, 53,50 მეტრი აჩვენა და IV ადგილს დასჯერდა.

10.000 მეტრზე რბენაში (2 მონაწილე) და 800 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში გამარჯვებულები III თანრიგის შედეგებს დასჯერდნენ.

**რ. მაღრაძე.**

• • •

### ტექნიკური შედეგები:

**ქალები.** რბენა. 100 მ. ვ. იახშიანი (ასკ, პირადი) — 12,8, მ. გელაშვილი („ბურევესტნიკი") — 13,1, ტ. ოსიპოვა („ლოკომოტივი") — 13,2; 800 მ. რ. შამოევა („განთიადი") — 2.33,6. ქ. საკუროვა (სპორტსკოლა-ინტერნატი, პირადი) — 2.36,0, ლ. მაკაროვა („ლოკომოტივი") — 2.37,2; სიმაღლეზე ხტომა. გუკი — 165, ჯ. ჩუბინიძე — 150, ს. მარჩენკო (ორივე — „განთიადი") — 140; ბირთვის კვრა. ტუღუში — 14,90, მ. თათარაშვილი („სპარტაკი") — 12,82, ც. ლიპარტელიანი („კოლმეურნე") — 12,80;

**ვაჟები.** რბენა. 100 მ. თ. მღინარაძე („ბურევესტნიკი") — 10,7, გ. სტეპანოვი („სპარტაკი") — 10,9, ვ. ქავთარაძე („ბურევესტნიკი") — 11,0; 1500 მ. გ. სტარიჩკოვი („ლოკომოტივი") — 4.01,2, ზ. ქავზინაძე („ბურევესტნიკი") — 4.04,2, ე. გატიკოევი („განთიადი") — 4.05,2; 10000 მ. ი. პერანიძე — 36.08,6, ქ. ქუთათელაძე (ორივე — „განთიადი") — 36.09,4; 400 მ. თარჯრბენი. ვ. სალაკაევი (ასკ, პირადი) — 57,1, ო. ლომთაძე („სპარტაკი") — 57,8, ლ. გლადილინი („დინამო") — 58,0; სიგრძეზე ხტომა. ზ. ალხანაიძე („კოლმეურნე") — 708, ა. შაბანოვი („დინამო") — 708, ვ. ჩუკანოვი („ბურევესტნიკი") — 707; სამხტომი. ვ. სანეევი („დინამო") — 16,87, შაბანოვი — 15,07, ჩუკანოვი — 14,90; შუბის ტყორცნა. გორძამაშვილი — 74,40, ნ. ზვიადაური („ბურევესტნიკი") — 68,80, ლ. აროშიძე („კოლმეურნე", პირადი) — 67,07; უროს ტყორცნა. ბარსლიევა — 57,48, ე. გაფრინდაშვილი („ბურევესტნიკი") — 54,54, ო. ოდიშვილი („სპარტაკი") — 53,94.

# 1x3=2

უცნაური მაგალითია, რომელიც არითმეტიკის არც ერთ კანონს არ მორჩილება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლისას წოლელა შეჯიბრებაში ერთ რესპუბლიკურ რეკორდზე (194 ქულა) სამმა სპორტსმენმა მიიტანა იერიში, მიზანს კი მხოლოდ ორმა მიაღწია, სურათი ნათელი იქნება.

რეკორდი 1968 წლიდან ვ. ახალაძეს ეკუთვნოდა. ავჭალის სასროლეთზე გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ამ შედეგის გაუმჯობესება სცადეს თვით რეკორდსმენმა, აგრეთვე, ვ. პანკოვმა (ორივე — თბილისი) და ვ. კრიუკოვმა (აფხაზეთი). კრიუკოვმა ძველი მიღწევის მხოლოდ გამეორება შეძლო, ახალაძემ და პანკოვმა კი 195-195 ქულა მოაგროვეს და რეკორდი ქულით გააუმჯობესეს (ორი უკანასკნელის მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი პ. ლეკიშვილი).

მაგრამ სტანდარტზე შეჯიბრებაში რეკორდსმენები საპრიზო ადგილზე ვერ გავიდნენ — ჩოქელა და დგომელა სროლაში მათ სხვებმა აჯობეს. ჩემპიონობა მოიპოვა პირადი ტურნირის მონაწილე სპორტის ოსტატმა გ. ბუჩუკურმა (თბილისი), რომელიც დგომელა სროლაში ყველაზე ზუსტი (172 ქულა) აღმოჩნდა.

საინტერესო გამოდგა ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) შეჯიბრებაც. წოლელა სროლაში საუკეთესო აქაც ახალაძე იყო. მან პირველად გასროლილი ათივე ტყვია სამიზნის ცენტრში მოახვედრა, მეორე სერიაში 2 ქულა დაკარგა, მესამე სერიაში — მხოლოდ 1, მეოთხე სერიაში კი ისევ 98 ქულა მიიღო, 400-დან 395 ქულა მოაგროვა და 2 ქულით აჯობა თანაგუნდელ ვ. სკრინიკოვს, რომელსაც ე. აბაჯიანი (თბილისი) ქულით ჩამორჩა. დგომელა სროლაში აბაჯიანმა იმარჯვა — 362 ქულა. პანკოვს ბადალი არ ჰყავდა ჩოქელა სროლაში — 379 ქულა მოაგროვა. კომპლექსში მან 11 ადგილი დაისაკუთრა, აბაჯიანთან მხოლოდ 2 ქულა წააგო.

პანკოვმა მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონობა პნევმატური შაშხანით დგომელა 40 გასროლაში. ამ ვარჯიშში ვაჟებმაც და ქალებმაც დაბალი შედეგები აჩვენეს. პნევმატური შაშხანით სროლაში უმაღლესი სპორტული წოდება ოსტატობის კანდიდატისაა, ნორმატივები ძნელი არაა (360 ქულა ვაჟებისთვის; 355 — ქალებისთვის), მაგრამ საქართველოს სპორტსმენები ამ შედეგებს ჯერჯერობით ვერ აღწევენ. ჩამორჩენის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ სპორტსმენებს არ ჰყოფნით გაწვრთნილობა, არა აქვთ კარგი თოფები, ფუნჯები...



თბილისელმა გ. სალუქვაძემ ჩემპიონატის დასკვნით ტურნირში კიდევ ერთ ვარჯიშში — მცირეკალიბრიანი პისტოლეტით შავ სამიზნეებზე 60 გასროლაში იმარჯვა.

ო. კუდრიავცევამ (თბილისი) ორმაგი გამარჯვება მოიპოვა. ჯერ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 5 სილუეტზე სროლაში აჯობა ყველას, შემდეგ კი ამავე იარაღით შავ სამიზნეებზე 60 გასროლაში დაისაკუთრა ჩემპიონის წოდება.

„გაქცეულ ირემზე" მსროლელთა რიგებს სპორტის ოსტატი შეემატა: ა. აგარონოვმა (თბილისი) 25 ორმაგ გასროლით 221 ქულა მოაგროვა.

ცოდვა გამხელილი სჯობს: შედეგები ყველა სახეობაში უფრო მაღალი იქნებოდა, მეტოქეობა თანაბარი და ბრძოლა უფრო დაძაბული რომ ყოფილიყო. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლაში ქალთა შეჯიბრების გარდა, პირადი და გუნდური გამარჯვება ყველა ვარჯიშში თბილისელებმა დაისაკუთრეს. ამასთან მათ მეტოქეებზე ბევრად უკეთესი შედეგები ჰქონდათ. მაგალითად, ს. ბუჩუკურმა პნევმატური შაშხანით სროლაში მესამე პრიზიორს ა. ისლიამოვას (აფხაზეთი) 27 ქულა მოუგო, კუდრიავცევამ კი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლაში ნ. კირილოვას (აფხაზეთი) 32 ქულით აჯობა.

მართალია, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში ტყვიის მსროლელი ქალები არ მონაწილეობენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ სტარტზე გამოსვლის უფლება არა აქვთ. სპარტაკიადის პროგრამით მსროლელთა შეჯიბრება ექვს ოლიმპიურ სახეობაში გაიმართება. ყველა ნაკრებს თითოეულ ვარჯიშში 2-2 სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვს (ერთი სპორტსმენი მხოლოდ ერთ რომელიმე სახეობაში იასპარეზებს). მაშასადამე, ნაკრებში 12 მსროლელი უნდა იყოს. ცხადია, თუ რომელიმე რესპუბლიკას ამა თუ იმ სახეობაში ვაჟებზე ზუსტი მსროლელი ქალი ეყოლება, ამ უკანასკნელს ჩარიცხავს გუნდში. ესეც არ იყოს, ქალები სსრ კავშირის ჩემპიონატში ხომ მაინც გამოდიან და რეზერვის მომზადებისთვის ზრუნვა მაინც გვმართებს. გავიხსენოთ, რომ კუდრიავცევამ წლეულს ოდესაში გამართულ საკავშირო ჩემპიონატში ოქროს 2 მედალი მოიპოვა.

**ო. გელაშვილი.**

### ტექნიკური შედეგები:

**ქალები.** პნევმატური შაშხანით სროლა. ს. ბუჩუკური — 351 ქულა, ვ. პანკოვა (თბილისი) — 330, ა. ისლიამოვა — 324. გუნდური: თბილისი — 1002, აფხაზეთი — 950, ქუთაისი — 304. მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. სილუეტებზე 60 გასროლა. კუდრიავცევა — 567, მ. ღვინერია — 563, ტ. კაბოსნიძე (ორივე — თბილისი) — 556. გუნდური: თბილისი — 1666, აფხაზეთი — 1589, ქუთაისი — 521. მრგვალ სამიზნეზე 60 გასროლა. კუდრიავცევა — 546, კირილოვა — 514, ტ. ყაზარიანი (თბილისი, პირადი) — 510. გუნდური: თბილისი — 1543, აფხაზეთი — 1470, ქუთაისი — 959.

**ვაჟები.** პნევმატური შაშხანით სროლა. პანკოვი — 342, ლ. ოსტრიკოვი — 334, ა. შამეკო (ორივე — თბილისი) — 324. გუნდური: თბილისი — 1243, აფხაზეთი — 1137, ქუთაისი — 866. არმიული შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა. გ. ბუჩუკური — 549, ოსტრიკოვი — 546, ა. მარუთიანი (თბილისი) — 538. გუნდური: თბილისი — 2156, აფხაზეთი — 2091, ქუთაისი — 509. „გაქცეულ ირემზე" 25 ორმაგი გასროლა. გ. თავდიდიშვილი — 224, ა. აგარონოვი — 221, გ. ბექთაშევი (ყველა — თბილისი) — 219. გუნდური: თბილისი — 808, აფხაზეთი — 710. ნებისმიერი შაშხანით სტანდარტზე (3×40) სროლა. აბაჯიანი — 1127, პანკოვი — 1125, ოსტრიკოვი — 1109. გუნდური: თბილისი — 4467, აფხაზეთი—4107, ქუთაისი — 1073. მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებზე სროლა. სალუქვაძე — 561, ს. სტრეკალოვი — 554, კ. ფოტიევი (ყველა — თბილისი) — 552. გუნდური: თბილისი — 2203, აფხაზეთი — 2177, ქუთაისი — 2081.

• • •



სურათებზე: საქართველოს რეკორდსმენი არმიული შაშხანით წოლელა სროლაში ვ. ახალაძე ცეცხლის ხაზზე; პისტოლეტით სროლაში სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტი მ. პაპავა ასპარეზობისას.

ავტორის ფოტო.

# თასი — საქართველოს ნაკრებს

ოქტომბრის დამლევს პოლტავაში გაიმართა შეჯიბრება სპორტის ტექნიკური სახეობების საკავშირო სპარტაკიადის პროგრამის ბოლო სახეობაში — მოტოკროსში. აქვე უნდა გარკვეულიყო სსრ კავშირის ჩემპიონთა ვინაობაც. ამიტომ სარბიელზე სხვა საზოგადოებებისა და უწყებების სპორტსმენებიც გამოვიდნენ.

ტურნირის ორივე დღეს კოკისპირულად წვიმდა, რაც რბოლას აძნელებდა. ამგვარ პირობებში ყველაფერი დამოკიდებული იყო კარგ ფიზიკურ მომზადებაზე და, რაც მთავარია, მოტოციკლის სწორად მართვაზე.

მონაწილე გუნდებს 175 კბ სმ-ის მანქანებით მოასპარეზე თითო ქალი, ორ-ორი ჭაბუკი და იუნიორი გამოჰყავდათ, 350-იანებით კი ორ-ორი ვაჟი იბრძოდა.

პირველ დღეს სარბიელზე ქალები და ჭაბუკები გამოვიდნენ. თბილისელმა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ე. გოლოვანოვამ VIII ადგილი დაიკავა, ჭაბუკები ვ. გალუსტაშვილი და ა. ნოგაიცევი V და VI ადგილებზე გავიდნენ. პირველ დღეს ჩვენებმა გუნდურ ჩათვლაში 177 ქულა მოაგროვეს და III ადგილი მოიპოვეს (ლიდერობდა ლენინგრადი — 265, II ადგილზე იყო მოსკოვის გუნდი — 179).

მეორე დღეს, როცა ბრძოლაში ვაჟები ჩაებნენ, ლენინგრადელები ჩამორჩნენ და საპრიზო სამეულის მიღმა დარჩნენ. საქართველოს იუნიორებმა ა. კლდიაშვილმა და გ. მანუკიანმა პირად ტურნირში VI და IX ადგილები დაისაკუთრეს, ვაჟთა შეჯიბრების მონაწილეებმა გ. ტკაჩენკომ და გ. ბეგიაშვილმა — V და VI ადგილები.

როცა სპარტაკიადის საერთო გუნდური შედეგები შეჯამდა, საქართველოს ნაკრებს (მწვრთნელი — ა. კაფაროვი, მექანიკოსი — ა. აკოფოვი) 588 ქულა აღმოაჩნდა და გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. II ადგილზე გავიდა რსფსრ-ს კოლექტივი — 508, III — მოსკოვის გუნდი — 507.

საქართველოს ჭაბუკთა გუნდი ვერცხლის თასით დაჯილდოვდა, ნაკრები კი გარდამავალი დიდი ბროლის თასითა და I ხარისხის დიპლომით.

მოტოკროსში გამარჯვებამ საქართველოს სპორტულ დელეგაციას სპორტის ტექნიკური სახეობების V საკავშირო სპარტაკიადაში საერთო V ადგილი მოაპოვებინა. ეს წინა სპარტაკიადასთან შედარებით საგრძნობი წინსვლაა.

რაც შეეხება საკავშირო ჩემპიონატს, აქ I ადგილი რსფსრ-ს გუნდმა მოიგო — 616 ქულა. II ადგილზეა ლატვიის გუნდი — 458, III — მოსკოვის ნაკრები — 424. საქართველოს სპორტსმენებს ეტლიანი მოტოციკლებით რბოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამიტომ მათ 411 ქულა მოაგროვეს და V ადგილს დასჯერდნენ.

**ო. კიკნაველიძე,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

[illegible]

**ზუგდიდი**

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის მუშამოსამსახურეთა შიდასაკოლექტივო შეჯიბრება ნაგანის სისტემით ტყვიის სროლაში მოიგო კვანძის უფროსმა გ. ჯანაშიამ, რომელმაც 49 ქულა მოაგროვა.

**ბ. ალშიბაია.**

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა დასახმარებლად

# სასარგებლო ღონისძიება

შარშან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტმა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარა დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა დახმარების მიზნით.

ამ ფაკულტეტის სტუდენტები სასწავლო გეგმის შესაბამისად წელიწადში ორჯერ ხვდებიან ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს და ისიც სულ ორი თვის განმავლობაში. აქედან ერთი თვე ზამთრის ლექციებსა და სესიებს ეთმობა, მეორე კი საგაზაფხულოს. ცხადია, ლექტორებთან კონტაქტი მარტო ორი თვის განმავლობაში კურსდამთავრებულთა მაღალ კვალიფიკაციას ვერ უზრუნველყოფს. ამას გარდა, IV კურსის სტუდენტები ვალდებული არიან გაიარონ პედაგოგიური პრაქტიკა სკოლაში შვიდი კვირის ხანგრძლივობით. პირველ 5 კვირას პრაქტიკა წარმოებისგან (სწავლისგან) მოუწყვეტლივ ტარდება საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მიხედვით, ხოლო მეორე ეტაპი — წარმოებისგან (სწავლისგან) მოწყვეტით თბილისში, ინსტიტუტისთვის გამოყოფილ საბაზო სკოლებში. 1969-70 სასწავლო წლამდე სტუდენტები პრაქტიკის პირველ ეტაპზე მოკლებული იყვნენ ინსტიტუტის კვალიფიციურ მასწავლებელთა მეთოდურ ხელმძღვანელობას. ეს საქმე პერიფერიების სკოლების მასწავლებლებს ჰქონდათ მინდობილი.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობის, დეკანატებისა და რიგი კათედრების სახელით უნდა ითქვას, რომ შეძლეს დიდი დახმარება გაეწიათ სტუდენტებისთვის ადგილებზე: შარშან ნოემბერში მათ ქუთაისსა და ლანჩხუთში საკონსულტაციო პუნქტები შექმნეს.

შარშანდელმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ასეთი საკონსულტაციო პუნქტები დიდ დახმარებას უწევენ სტუდენტ ახალგაზრდობას არა მარტო პედაგოგიური პრაქტიკის წარმატებით ჩატარებაში, არამედ თეორიული ცოდნის გაღრმავებაშიც. საკონსულტაციო პუნქტებში ტარდება ლექცია-სემინარები ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის საკითხებზე და სხვ.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ლანჩხუთის რაიონული აქტივის დახმარება საკონსულტაციო პუნქტის ხელმძღვანელებისადმი. ლანჩხუთში აჭარისა და გურიის რაიონებში მცხოვრები და მომუშავე სტუდენტები იყვნენ მიწვეული. რაიონის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ინიციატივით, განათლების რაიონულ განყოფილებასთან შეთანხმებით, საკონსულტაციო დღეებში რამდენიმე სკოლა მზად იყო სტუდენტი პრაქტიკანტების მისაღებად. რაიონის პარტიული, სახელმწიფო და კომკავშირული ორგანიზაციები დიდი გულისყურით მოეკიდნენ საქმეს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ლანჩხუთის რაიონის მაგალითი წლეულს მისაბაძი გახდება სხვა ქალაქებისთვის, სადაც საკონსულტაციო პუნქტებია შექმნილი.

წლეულს საკონსულტაციო პუნქტი გურჯაანშიც გაიხსნა. კონსულტაციები ჩატარდება ნოემბრის შუა რიცხვებში. ქუთაისის საკონსულტაციო პუნქტში მიწვეული არიან IV კურსის სტუდენტები ქუთაისის, წყალტუბოს, ზესტაფონის, ხარაგაულის, ვანის, სამტრედიისა და აბაშის რაიონებიდან. კონსულტაციები ჩატარდება 13, 14 და 15 ნოემბერს. ლანჩხუთის პუნქტში მიწვეული არიან ლანჩხუთის, მახარაძის, ჩოხატაურის, ბათუმის, ქობულეთის, შუახევის და ხულოს რაიონებში მცხოვრები სტუდენტები. კონსულტაციები ჩატარდება 16, 17 და 18 ნოემბერს. გურჯაანის პუნქტში ასევე 16, 17 და 18 ნოემბერს კონსულტაციებს დაესწრებიან გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, საგარეჯოს, წითელი წყაროს, ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებში მცხოვრები სტუდენტები. სტუდენტები ვალდებული არიან მითითებულ დღეს დილის 10 საათზე გამოცხადდნენ რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტში.

ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა სთხოვს ქუთაისის, ლანჩხუთისა და გურჯაანის რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეებს, რომ წინასწარ გააფრთხილონ და მოამზადონ ერთი-ერთი სკოლა, სადაც სტუდენტები პედაგოგიური პრაქტიკის მოთხოვნების შესაბამისად შეძლებენ გაკვეთილების ჩატარებას და სათანადო დახმარების მიღებას; ამასთან, თუ საჭიროდ მიიჩნევენ, გამოიყენონ ინსტიტუტის კვალიფიციური ლექტორები ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა და მწვრთნელთათვის სემინარის ჩასატარებლად.

შ. მამარდაშვილი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი, დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტთა პრაქტიკის საერთო მეთოდური ხელმძღვანელი.

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

● „მზიური" (გალი) — „იმერეთი" (თერჯოლა) 0:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

● „მშენებელი" (ბორჯომი) — „ისანი" (თბილისი) 2:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ენგური" (ზუგდიდი) 5:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

რკინიგზელებს მთელი თამაშის მსვლელობაში სრული უპირატესობა ეპყრათ, თუმცა პირველი 45 წუთის მანძილზე სტუმრებმა, განსაკუთრებით მეკარე გაბელიამ თავგამოდებული თამაშით შეძლეს ყველა ხიფათის უვნებელყოფა. ხუთივე ბურთი გატანილ იქნა მეორე ტაიმში და აქ გაბელია უკვე უძლური იყო უვნებელეყო თავისი კარი. ანგარიში გაიხსნა მანჯგალაძის მიერ ზუსტად შესრულებული 11-მეტრიანი დარტყმით. მეორე ბურთი გაიტანა ამირანაშვილმა, რის შემდეგ ზუგდიდელთა კარი კიდევ სამჯერ იქნა აღებული.

● „სამცხე" (აწყური) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 3:1. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

მატჩის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა თანაბარ ბრძოლაში და უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. 50-ე წუთზე აწყურელი სუხიაშვილის ზუსტმა დარტყმამ მიზანს მიაღწია, თუმცა საპასუხო ბურთიც სულ მალე იქნა გატანილი კაციტაძის მიერ (პენალტი). გავიდა კიდევ მცირე ხანი და 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა უკვე „მაღაროელის" კარში. იგი ზუსტად გამოიყენა ქიქაძემ. დასასრულ, ბარძიმაძემ განამტკიცა აწყურელთა გამარჯვება — 3:1.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „გიგანტი" (ლაითური) 1:1. მსაჯი ა. პკუასელი (თბილისი).

მასპინძლები ბევრს ეცადნენ ეღოთ 2 ქულა და ანგარიშიც გახსნეს (მეგრელიშვილი), მაგრამ გამარჯვების შენარჩუნება ველარ შეძლეს. „გიგანტის" ერთ-ერთი კონტრშეტევა საპასუხო გოლით დაამთავრა იურიევმა.

● „ქართლი" (გორის რაიონი) — „სინათლე" (თბილისი) 1:1. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

მასპინძლებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ მატჩის დასაწყისში, მაგრამ მათ გოლის გატანა ვერ შეძლეს. შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა, თბილისელთა იერიშები სულ უფრო სახიფათო გახდა და ანგარიშიც გაიხსნა (სუხაშვილი). მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე შეძლო გორელმა ხანიშვილმა თანაფარდობის აღდგენა — 1:1.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — ასკ (თბილისი) 2:0. მსაჯი შ. ჩადირაძე (რუსთავი).

პირველ წარმატებას „ეგრისმა" მიაღწია დასაწყისშივე, მე-2 წუთზე, ხურციას ზუსტი დარტყმის შემდეგ. II ტაიმში ძაგანიამ კიდევ ერთხელ აიღო არმიელთა კარი.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სქური" (წალენჯიხა) 2:1. მსაჯი ა. იზრაელაშვილი (ფოთი).

სტუდენტთა იერიშებს 30-ე წუთზე მოჰყვა ოდიშარიას მიერ გატანილი გოლი. მერე იმავე ოდიშარიას მეორე ბურთის გატანის შესაძლებლობაც მიეცა, მაგრამ წალენჯიხელთა მეკარე გოლუბევმა აიღო მის მიერ დარტყმული პენალტი. ეს შეცდომა ოდიშარიამ შემდგომში გამოასწორა და სტუმრებმა ისღა შეძლეს, რომ გაქვითეს 1 გოლი (კოკაია).

● „ცისკარი" (სიღნაღი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:2. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

● „მეტალურგი" (ზესტაფონი)




— „ვარკეთილი" (გარდაბანი) 2:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

● „სქური" (წალენჯიხა) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:3. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

II ჯგუფში ჩატარდა გამოტოვებული თამაშები: „შევარდენი" (თბილისი) — „მევენახე" (ბოლნისი) 1:2, „სპარტაკი" (რუსთავი) — „მევენახე" (ვაზისუბანი) 5:1, „სპარტაკი" (რუსთავი) — „ვარძია" (ასპინძა) 2:2.

ზონალური პირველობა. „სპარტაკი" (ვანი) — ჩაის საბჭოთა მეურნეობა (წალენჯიხა) 3:0.

### გათამაშების ცხრილები

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 8 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 40 | 24 | 9 | 7 | 84—34 | 57 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 39 | 24 | 9 | 6 | 78—48 | 57 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 39 | 21 | 13 | 5 | 78—39 | 55 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 37 | 22 | 8 | 7 | 66—33 | 52 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 39 | 19 | 12 | 8 | 65—40 | 50 |
| „სინათლე" (თბილისი) | 38 | 17 | 13 | 8 | 65—39 | 47 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 39 | 18 | 10 | 11 | 57—39 | 46 |
| „ისანი" (თბილისი) | 40 | 14 | 17 | 9 | 46—38 | 45 |
| „მზიური" (გალი) | 40 | 11 | 19 | 10 | 46—42 | 41 |
| „სამცხე" (აწყური) | 35 | 13 | 14 | 8 | 37—33 | 40 |
| ასკ (თბილისი) | 40 | 15 | 9 | 16 | 46—51 | 39 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 38 | 14 | 11 | 13 | 47—57 | 39 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 39 | 12 | 14 | 13 | 54—55 | 38 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 38 | 11 | 12 | 15 | 44—39 | 34 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 39 | 9 | 16 | 14 | 41—61 | 34 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 40 | 10 | 13 | 17 | 38—48 | 33 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 39 | 8 | 13 | 18 | 26—47 | 29 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 38 | 7 | 15 | 16 | 26—48 | 29 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 40 | 5 | 17 | 18 | 41—71 | 27 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 39 | 7 | 8 | 24 | 38—72 | 22 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 39 | 6 | 10 | 23 | 43—79 | 22 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 39 | 4 | 10 | 25 | 42—95 | 18 |

#### II ჯგუფი

I ზონა

საბოლოო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ვარძია" (ასპინძა) | 28 | 19 | 5 | 4 | 48—18 | 43 |
| „გარეჯი" (საგარეჯო) | 28 | 17 | 7 | 4 | 69—30 | 41 |
| „სპარტაკი" (რუსთავი) | 28 | 15 | 8 | 5 | 55—33 | 38 |
| „მევენახე" (ბოლნისი) | 28 | 16 | 4 | 8 | 51—36 | 36 |
| „მევენახე" (ვაზისუბანი) | 28 | 15 | 5 | 8 | 58—41 | 35 |
| „დურუჯი" (ყვარელი) | 28 | 15 | 3 | 10 | 50—32 | 33 |
| „შევარდენი" (თბილისი) | 28 | 11 | 8 | 9 | 45—43 | 30 |
| „მშენებელი" (წალკა) | 28 | 13 | 4 | 11 | 33—35 | 30 |
| „ჰერეთი" (ლაგოდეხი) | 28 | 10 | 9 | 9 | 52—48 | 29 |
| „შირაქი" (წითელი წყარო) | 28 | 8 | 6 | 14 | 24—41 | 22 |
| „აბული" (ახალქალაქი) | 28 | 8 | 4 | 16 | 27—48 | 20 |
| „გარისი" (თეთრი წყარო) | 28 | 6 | 7 | 15 | 38—50 | 19 |
| „არაგვი" (დუშეთი) | 28 | 6 | 6 | 16 | 29—50 | 18 |
| „გახტრიონი" (ახმეტა) | 28 | 6 | 5 | 17 | 21—47 | 17 |
| „არაგვი" (მცხეთა) | 28 | 3 | 3 | 22 | 30—78 | 9 |

შენიშვნა: ასპინძის „ვარძია", დებულების თანახმად, მომავალ წელს ითამაშებს რესპუბლიკის პირველობის I ჯგუფში.

# გონგის წინ

ნელ-ნელა ქრება შუქი. იუპიტერების კაშკაშა სხივები სიბნელეს რინგის ქათქათა კვადრატს გამოსტაცებენ. დარბაზის სიჩუმეში მსაჯი-ინფორმატორის ხმა გაისმის. „რინგზე გამოდიან..." ამას უკვე გონგის სიგნალი მოსდევს.

8 ნოემბერს უნგრეთის ქალაქ მიშკოლცში სწორედ ასე გაიხსნება იუნიორ მოკრივეთა პირველი ევროპული ჩემპიონატი. აას-ის კორესპონდენტმა ამასთან დაკავშირებით ინტერვიუ ჩამოართვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კრივის განყოფილების უფროსს ა. კაპუსტკინს.

— მომავალ ჩემპიონატში ევროპის ყველა ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას, — თქვა ა. კაპუსტკინმა.— სრული შემადგენლობით გუნდებს გამოიყვანენ მოკრივეთა საერთაშორისო შეჯიბრების ტრადიციული ფავორიტები: ჩემპიონატის მასპინძლები, პოლონეთი, იტალია, რუმინეთი, ბულგარეთი, სსრ კავშირი. დანარჩენი ქვეყნები მიშკოლცში გამოგზავნიან თავიანთ უძლიერეს მოკრივეებს მხოლოდ ცალკეულ წონით კატეგორიებში.

ჩემპიონატი განსაკუთრებით დაძაბული იქნება, რადგან წლევანდელი ტურნირი გახლავთ ძველი სამყაროს ეროვნული გუნდების რეზერვის გენერალური დათვალიერება, მიუნჰენის მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთი ღონისძიება. ეჭვი არ არის, რომ მიშკოლცში ახალგაზრდა, პერსპექტიული ოსტატები მოიყრიან თავს.

შეჯიბრების ორგანიზატორები სერიოზულად მოეკიდნენ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას და განზრახული აქვთ ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარონ.

● **როგორ ემზადებოდნენ ევროპის ჩემპიონატისთვის საბჭოთა მოკრივეები?**

— საბჭოთა კავშირის წლევანდელი ახალგაზრდული ჩემპიონატი, რომელიც ამავე დროს ევროპის პირველობისთვის შესარჩევი ტურნირიც იყო, თავისებურებით გამოირჩეოდა. პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა შეჯიბრების გეოგრაფია — სარბიელზე საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქის წარმომადგენლები გამოვიდნენ. ტყავის ხელთათმნის უძლიერეს ახალგაზრდა ოსტატთა შორის, რომლებიც, სხვათა შორის, ქვეყნის ნაკრების კანდიდატები არიან, უნდა დავასახელოთ მინსკელი ე. დუბოვსკი და ერევნელი დ. ტოროსიანი, სევასტოპოლელი ა. ლევიშჩევი და ყაზანელი ა. ანდრიანოვი, სარატოველი პ. იეოკინი და ყარაგანდელი ლ. ტლეუბეევა, მოსკოველები ვ. დავიდოვი და ვ. ლემეშევი, სამარყანდელი ნ. ანფიმოვი, ფერგანელი ა. შპილევი და ვოროშილოვგრადელი ვ. ვოლკოვი.

● **თქვენ დაასახელეთ ნაკრების კანდიდატები. რა შეიძლება ითქვას მათს საბრძოლო გამოცდილებაზე?**

— ასეთი მასშტაბის ჩემპიონატი იუნიორთა შორის პირველად ტარდება. არ არის გასაკვირი, რომ საბჭოთა და უცხოური გუნდების მწვრთნელებს ძალიან ძუნწი ცნობები აქვთ თავიანთ მეტოქეებზე. საბჭოთა მოკრივეებიდან ჯერჯერობით მხოლოდ ორს მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო შეხვედრებში. ესენი არიან მინსკელი ე. დუბოვსკი და სევასტოპოლელი ა. ლევიშჩევი. მაგრამ, ვფიქრობ, რომ მიშკოლცში საინტერესო ბრძოლა გაჩაღდება და ჩვენ ვიხილავთ ტექნიკურ, ლამაზ კრივს.

● **როგორია საბჭოთა გუნდის განწყობილება დიდი ასპარეზობის წინ?**

— საბჭოთა ნაკრების წევრებს სურთ გააგრძელონ უფროსი კოლეგების სახელოვანი ტრადიციები. გამარჯვების წყურვილი კარგ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებასთან ერთად წარმატების ერთ-ერთი რეალური შანსია.

დასასრულ ა. კაპუსტკინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიშკოლცში ბრძოლის დაძაბულობას შემდეგი გარემოებაც შეუწყობს ხელს: მომავალი ჩემპიონატის წესები ამ შეჯიბრებაში მონაწილეობას უკრძალავს სპორტსმენებს, რომლებიც საპრიზო ადგილებზე გასულან მოზრდილთა ევროპულ ჩემპიონატში ან ოლიმპიურ თამაშებში.

# ვეტერანები პოზიციებს ინარჩუნებენ

სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატმა, ისევე როგორც შარშან, წლეულსაც ა. მეტრეველსა და ო. მოროზოვას მოუტანა წარმატება. მათ გამარჯვება მოიპოვეს არა მარტო ერთეულთა შორის, არამედ შერეულ წყვილთა და წყვილთა შეჯიბრებაშიც (მეტრეველი ს. ლიხაჩოვთან ერთად გამოდიოდა, მოროზოვა — ზ. იანსონესთან).

უჭვი არ არის, გამარჯვებულები დანარჩენებზე ძლიერად თამაშობდნენ და სავსებით დაიმსახურეს ტრიუმფი. მიუხედავად ამისა, ჩემპიონატის შედეგებმა არ შეიძლება გარკვეული დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ გამოიწვიოს. პირველ ყოვლისა ეს ეხება ვაჟთა ტურნირს.

ვის ხვდა დანარჩენი საპრიზო ადგილები? ვერცხლის მედალი მოიპოვა თ. ლეიუსმა, ბრინჯაოსი — ვ. ეგოროვმა. ლეიუსი, რომელიც წარუმატ ე ბლად გამოდის ამ სეზონში, 29 წლისაა, ეგოროვი — 32 წლისა. ამასთან, წლეულს იგი საზღვარგარეთ გამართულ არც ერთ შეჯიბრებაში არ გამოსულა და ალბათ იშვიათადაც ხვდებოდა ძლიერ მეტოქეებს.

ეჭვი არ არის, ვეტერანები ყოველმხრივ პატივისცემას იმსახურებენ, მით უმეტეს, რომ ორივემ შესანიშნავი მებრძოლის თვისებები გამოავლინა. ლეიუსმა, მაგალითად, ფინალის გზაზე დაამარცხა ჰ. სეპი, ს. ლიხაჩოვი და ა. ვოლკოვი. ეს მოხდა უმძიმეს ბრძოლაში (ვოლკოვთან მატჩი ოთხ საათზე მეტს გაგრძელდა!), ეგოროვი კი თ. კაკულიასთან და იმავე ა. ვოლკოვთან ორთაბრძოლაში მხოლოდ დიდი ნებისყოფისა და გამოცდილების წყალობით გადაურჩა დამარცხებას.

რა ადგილები ხვდათ ახალგაზრდა ჩოგბურთელებს, რომლებიც წლეულს უიმბლდონის ტურნირზე გაემგზავრნენ ინგლისში (ვ. კოროტკოვი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც იყო)? ვოლკოვმა IV ადგილი დაიკავა, ვ. პალმანმა — VII, კოროტკოვმა — X. მიზეზად რაიმე შემთხვევითობას ან უიღბლობას ვერ დავასახელებთ. ტურნირში ყველამ დამსახურებული შეფასება მიიღო. როგორც ხედავთ, მეტრეველს ფაქტიურად მეტოქე არ ჰყავდა. ეს კიდევ არაფერი. საქმე ისაა, რომ სარბიელზე არ ჩანდა არც ერთი ჩოგბურთელი, რომელიც შორეული მომავლისთვის მაინც მოგვცემდა ამის იმედს. ეს მარტო ზემოთ დასახელებულ ოსტატებს როდი ეხებათ, რომელთა შესაძლებლობები ასე თუ ისე ცნობილია. არა, პერსპექტიული და საიმედო არც უფრო ახალგაზრდა ჩოგბურთელებში გვეგულება ვინმე.

ქალთა შეჯიბრების შედეგები ამ მხრივ უფრო საყურადღებოა, თუმცა საერთო ჯამში მდგომარეობა არც აქაა მაინცდამაინც სახარბიელო. სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ 19 წლის რიგელი სპორტსმენის იანსონეს გამოსვლა. საქმე ისაა, რომ იანსონე ავადმყოფობის გამო თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში არ გამოსულა სარბიელზე. იყო საშიშროება, რომ ნიჭიერი ჩოგბურთელი საერთოდ დატოვებდა დიდ სპორტს. აი, რატომ არავინ ელოდა ალმა-ათაში მისგან რამდენადმე სერიოზულ წარმატებას. მით უფრო სასიამოვნოა, რომ მხოლოდ იანსონემ გაუწია ჩემპიონს ღირსეული მეტოქეობა.

საქმე მარტო ის როდია, რომ იანსონემ დაამარცხა ძლიერი მეტოქეები — ნ. თუხარელი, პარმასი, ე. იზოპაიტისი, რითაც ფინალის საგზური გაინაღდა. ამ სპორტსმენებისა და ბევრი სხვა ჩოგბურთელისგან განსხვავებით, იანსონე თანამედროვე, შემტევ სტილში თამაშობდა. მან სწორედ ამ თვალსაზრისით აუბა მხარი ჩემპიონს. შეიძლება იანსონე ზედმეტად აქტიურიც იყოს. ამბობენ, რომ იგი კი არ გამორბის ბადისკენ, არამედ „გაურბის" მას, რადგან ცუდად თამაშობს უკანა ხაზზე. შეიძლება ამ სიტყვებში სიმართლის მარცვალი ერიოს კიდეც, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ბოლოს და ბოლოს ჩვენში გამოჩნდა სპორტსმენი ქალი, რომელიც შეუჩერებლად დარტყმებით თამაშს თავის სტიქიად თვლის. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ფინალურ შეხვედრაში მოროზოვა შესამჩნევად ძლიერი აღმოჩნდა თავის მეტოქეზე.

იანსონეს გარდა საიმედოდ შეიძლება მივიჩნიოთ 17 წლის მ. კროშინა, რომელმაც კოროტკოვთან ერთად ვერცხლის მედალი მოიპოვა. კროშინა უთუოდ ნიჭიერი სპორტსმენია, რომელიც ბურთის საუცხოო გრძნობით, მოძრაობის კოორდინაციითა და პლასტიკურობით გამოირჩევა. მაგრამ, ამ ღირსებების მიუხედავად, შეძლებს კროშინა ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა რიცხვში მოხვდეს? ეყოფა საამისოდ ნებისყოფა, შეუპოვრობა, ფიზიკური თვისებები? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ჯერჯერობით ნაადრევია.

მაშ ასე, ქვეყნის პირველი ჩოგნები ჯერ ისევ ეულად რჩებიან. მოროზოვასა, და, განსაკუთრებით, მეტრეველს დანარჩენებისგან კარგა მანძილი აშორებთ. სწორედ ამის გამო გვმართებს დიდი თავშეკავება ჩემპიონატის შედეგების შეჯამებისას.

საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის მწვრთნელები შემთხვევით როდი იყვნენ ალმა-ათაში დაფიქრებული დევისის თასის გათამაშებისთვის მზადების საკითხით. ეს შეჯიბრება მომავალ სეზონში ჩატარდება. გუნდში უნდა გვყავდეს სამი თუ არა, ორი კარგი, დაახლოებით თანაბარი ძალის ჩოგბურთელი მაინც. ჩვენ კი მხოლოდ ერთი გვყავს. რა შედეგები მოჰყვება ასეთ სიღარიბეს, ეს გუნდის წლევანდელმა გამოსვლებმაც დაადასტურა: როცა მეტრეველი ყველა შეხვედრას იგებდა, მისი თანაგუნდელები კოროტკოვი და ლეიუსი ასევე თანმიმდევრულად ყველა შეხვედრას აგებდნენ...

როცა შექმნილ მდგომარეობაზე ვმსჯელობთ, უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ქალაქებში ნიჭიერი ჩოგბურთელები იშვიათად, უმეტესად, თუ შეიძლება ითქვას, შემთხვევითობის წყალობით ჩნდებიან. მაგალითად, ასე გამოჩნდნენ თავის დროზე კიევში გ. ბაკშეევა, თბილისში ა. მეტრეველი, ტალინში თ. ლეიუსი. სამწუხაროდ, ბოლო წლებში ამავე ქალაქებში ასეთი კლასის ჩოგბურთელებს უკვე ვეღარ ახვდებით.

ე. კრეემ და მისი ხელმძღვანელობით მწვრთნელთა მთელმა ჯგუფმა, დიდი მონდომების მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ მიაგნეს ლეიუსის ღირსეულ შემცვლელს. უკრაინამ მ. მოზერისა და ბაკშეევას შემდეგ საერთოდ ვეღარ გამოიყვანა საპრიზო ადგილების პრეტენდენტები. საქართველომ ბოლო წლებში მხოლოდ კაკულია მოგვცა. ეს ჩოგბურთელი საკმაოდ საინტერესოდ თამაშობდა ჩემპიონატში და სხვა შეჯიბრებებშიც, მაგრამ მეტრეველთან მეტოქეობის ძალა მას, რასაკვირველია, არ შესწევს.

მართალია, ტალანტები დაკვეთით არ იზრდებიან, მაგრამ განა შეიძლება მადლობით არ მოვიხსენიოთ ნ. ტეპლიაკოვა, რომელმაც აღზარდა ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ა. დმიტრიევა, შემდეგ კი მეორე ჩემპიონი მოროზოვა? მწვრთნელმა დაგვიდასტურა, რომ თურმე უძლიერესი ჩოგბურთელების სისტემატურად, „რიტმულად" მომზადება შესაძლებელი ყოფილა.

იქნებ ძალიან პესიმისტური გამოვიდა ჩვენი შენიშვნები? მე მომაგონდა, რომ ჩემპიონატის ბოლო დღეს ფინალისტების შეჯიბრების დაწყებამდე კორტებზე გამოვიდნენ 12 წლის მოსკოველი ნ. ჩმირიოვა და 14 წლის ლიეპაიელი ი. შევჩენკო. მათ საჩვენებელი გამოსვლა გამართეს მაყურებლების თვალწინ, რომელთა შორის ბევრი მწვრთნელი და ჩემპიონატის მონაწილეც იყო. გოგონები ამ დროს ალბათ მხოლოდ მოგებაზე ფიქრობდნენ. მაყურებლებს ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ ამ შეხვედრის შედეგი, მაგრამ მეტოქეთა თამაშის სტილმა, შემტევმა, ენერგიულმა მანერამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ესე იგი, ამ ასაკშიც შესაძლებელი ყოფილა თანამედროვე მანერით თამაში!

სწორედ ამ ორი გოგონას შეხვედრა, ისევე როგორც ჩემპიონატის პერიოდშივე მიმდინარე ჭაბუკთა ტურნირის ზოგიერთი ორთაბრძოლა, გვაფიქრებინებს, რომ ამჟამინდელი ჩამორჩენა საბჭოთა ჩოგბურთში შემთხვევითია. შორს აღარ არის დრო, როცა მეტრეველისა და ლეიუსის ძალის ჩოგბურთელები გამონაკლისი არ იქნებიან ჩვენს ქვეყანაში.

ვ. ვასილიევი.

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: ო. მოროზოვა ასპარეზობისას.

ბ. კამენსკის ფოტო.

## როუზი ეკამათება ბრენდეჯს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა აშკარად ხითვალწუნა ფეხბურთი. იგი მოითხოვს ფეხბურთი არ ითვლებოდეს სპორტის ოლიმპიურ სახეობად, ვინაიდან „იგი სპორტი კი არაა, არამედ საწარმოება". ბრენდეჯს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში საკმაოდ ჰყავს მომხრეები.

პრეზიდენტის ასეთ განწყობილებასთან დაკავშირებით სათანადო მსჯელობა ჰქონდა ფიფა-ს პრეზიდიუმს. მისმა პრეზიდენტმა ს. როუზმა ბრენდეჯს გაუგზავნა წერილი, სადაც კატეგორიულად მოითხოვს შეწყდეს თავდასხმები ფეხბურთზე და შემდგომშიც დატოვებულ იქნას იგი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში.

• •

## კონტრაქტი 8 წლით!

სწორედ ასეთ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი ჯ. ბესტმა თავის კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედთან". ახლა მას მეტისმეტად ელოლიავებიან. კონტრაქტში ერთი საინტერესო პუნქტია. თუ ბესტი მოისურვებს, შეუძლია 4 წლის შემდეგ დაარღვიოს ხელშეკრულება და რომელიმე სხვა კლუბში გადავიდეს.

საერთოდ, ინგლისური კლუბები მოთამაშეებთან მოკლევადიანი შეთანხმებების დადებას ამჯობინებენ, მაგრამ ბესტი ძალზე პოპულარული პიროვნებაა. ინგლისელი მიმომხილველების შეხედულებით იგი უდავოდ შედის თანამედროვეობის უძლიერეს ფეხბურთელთა პირველ ათეულში.

• •

## კ ა რ ი ზ მ ა რ ა ღ ა დ ა ა შ ა ვ ა!

უკვე კარგა ხანია საფრანგეთის საფეხბურთო რუკაზე უმნიშვნელო ქალაქად იქცა... პარიზი. მართლაც, საფრანგეთის ჩემპიონი ხან „სტად დე რეიმსი" იყო, ხან „ნიცა" ან „მონაკო". უკანასკნელ წლებში პირველობა „სენტ-ეტიენის" მონოპოლია გახდა. პარიზის კლუბები „რესინგი", „სტად ფრანსე" და „რედ სტარი" ომისშემდგომ წლებში სულს ღაფავდნენ.

და აი, გადაიდგა ნაბიჯი პარიზის ფეხბურთის ასაღორძინებლად. ჩამოყალიბდა კლუბი „პარიზი — სენ-ჟერმენი", რომელიც ახლა საფრანგეთის ე. წ. „სახალხო ჩემპიონატში" გამოდის (იგი II პროფესიული ლიგის ნაცვლად შეიქმნა). „პარიზი — სენ-ჟერმენი" ახლა ფინანსურად კარგ მდგომარეობაშია და გუნდი I ლიგაში გადასასვლელად იბრძვის.

• •

## ზამორას მემუარები

უკვე ოცდამეხუთეჯერ გამოიცა ლეგენდარული მეკარის რ. ზამორას მემუარები. ზამორა წერს საფეხბურთო კარიერაზე, მრავალრიცხოვან საერთაშორისო შეხვედრებზე, იგონებს თავის უმთავრეს სპორტულ მეტოქეებს — ინგლისის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იტალიის გუნდების ფეხბურთელებს.

ზამორას წიგნი ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, შვედურ და კორეულ ენებზე.

• •

## ყველაზე უკეთესად — ო ს გ უ დ ი

ინგლისელი ფეხბურთელები, როგორც ცნობილია, გამოირჩევიან თავით თამაშის მაღალი ოსტატობით. ინგლისის ჩემპიონატებში გოლების მოზრდილი ნაწილი სწორედ თავით გააქვთ.

ამას წინათ ინგლისელ სპეციალისტებს ჰკითხეს — ინგლისში ვინ თამაშობს თავით ყველაზე უკეთესად? სპეციალისტებს ბევრი არ უდავიათ — ყველაზე უკეთესია „ჩელსისა" და ეროვნული ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ოსგუდი.

• •

## ბერგმარკის აზრით

გამოჩენილი შვედი სპეციალისტის ო. ბერგმარკის აზრით, ევროპის № 1 ფეხბურთელად 1970 წლისათვის უდავოდ რივა უნდა მივიჩნიოთ.

ბერგმარკი რივას „ფენომენს" უწოდებს. ფეხბურთის ისტორიაში, — ამბობს იგი, — ბევრი როდია მოთამაშე, რომელსაც სხვების დაუხმარებლად შეეძლოს მატჩის მოგება. რივა კი ასეთი „ვარსკვლავია", რომელსაც უნარი შესწევს გამარჯვება მოუტანოს თავის გუნდს.

• •

## გვადალახარა — ბრაზილიაში

ბრაზილიის მთავრობის გადაწყვეტილებით, ამ ქვეყანაში ერთ ახლად დაარსებულ ქალაქს დაერქვა გვადალახარა. ეს იმ გამარჯვებათა აღსანიშნავად მოხდა, რომელიც მექსიკის ქალაქ გვადალახარაში იზეიმა ბრაზილიის ნაკრებმა. ბრაზილიელებმა ამ ქალაქიდან დაიწყეს თავიანთი ტრიუმფალური სვლა მსოფლიოს უკანასკნელ ჩემპიონატში.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUGAS •

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

„ლოკომოტივის"
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



სსრ კავშირის
პირველობა

„დინამო" (თბილისი) —
„ზენიტი" (ლენინგრადი)

5 ნოემბერი

ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 18 ს. 30 წ.

საქართველოს ვეტერანი ფეხბურთელები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძველი ფეხბურთელი

კოკი (ალექსანდრე)
ანტონის ძე ვაშაკიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 8 ნოემბერს სოფ. დიდ ჯიხაიში (სამტრედიის რაიონი).

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 10590